

არსებობს თუ არა კორელაცია მასწავლებლის პროფესიულ გადაწყვეტას,
კლასში მოსწავლეების რაოდენობასა და სსსმ მოსწავლის ყოფნას შორის

ნინო ჩაკვეტაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ჯანა კახიანი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წინამდებარე სტატიის ავტორი, ვაცხადებ, რომ სტატია არის ჩემი ორიგინალური ნამუშევარი და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც სტატიაში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ჩაკვეტაძე

თბილისი, 2019

აბსტრაქტი

პროფესიული გადაწვა წარმოადგენს ფსიქოლოგიური და ფიზიკური გადაღლის მდგომარეობას, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების ხარისხზე. პროფესიული გადაწვის ფენომენის შესწავლა და პრევენციული ღონისძიებების შემუშავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განათლების სფეროში, ვინაიდან აღნიშნული საკითხი პირდაპირ კავშირშია მასწავლებლების კეთილდღეობასთან, სწავლების პროცესის ხარისხთან, მასწავლებლების ურთიერთობებთან თავიანთ კოლეგებთან, მოსწავლეებსა თუ მშობლებთან. წინამდებარე ნაშრომში ნაკვლევია პროფესიული გადაწვის სინდრომი ერთი მხრივ კლასში მოსწავლეების რაოდენობასთან, მეორეს მხრივ კი კლასში სსსმ მოსწავლის ყოფნასთან მიმართებაში.

კვლევაში გამოყენებულ იქნა რობერტ ნეფის მიერ შემუშავებული კითხვარი. შედეგები დამუშავდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით. კვლევის შედეგებმა არ გამოავლინა სტატისტიკურად სანდო კორელაცია პროფესიულ გადაწვასა და კლასში მოსწავლეების რაოდენობას შორის, თუმცა გამოიკვეთა ახალი გარემოება. კერძოდ, გამოვლინდა კლასში მოსწავლეების რაოდენობა, ერთგვარი ზღვარი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მასწავლებლების პროფესიული გადაწვის მაჩვენებელზე. ხოლო პროფესიულ გადაწვასა და კლასში სსსმ მოსწავლის ყოფნას შორის გამოვლინდა დადებითი კორელაცია.

საკვანძო სიტყვები: *პროფესიული გადაწვა; მასწავლებლის კეთილდღეობა; სსსმ მოსწავლე;*

Abstract

Burnout is a state of psychological en physical exhaustion that have a significant impact on the performance of the job responsibilities. It is, especially important to study burnout phenomenon and to find out preventive measures, in the field of education. Because mentioned issue is directly connected with teacher well-being, teaching quality, teacher's cooperation with colleagues, students and parents. The present study aims to investigate if there is a correlation between teacher burnout, class size and the student in the class with special educational need.

In the study I have used "Occupational Stress Questionnaire" which was made by Dr. Robert Neff. The results were processed using quantitative methods of research. Results didn't revealed any correlation between teacher burnout and class size. However, there was revealed a new circumstance. Namely, results revealed the limit of students number, which has significant impact on the teacher's burnout indicator. Also, there was a positive correlation between teacher's burnout and being of student with special educational needs in the class.

Key words: *burnout; teacher well-being; special education;*